შპს „თეგეტა რენთალს“

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

შპს „თეგეტა რენტალს

სარჩევი

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 3
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 4
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 5
ფულადი ნაკადების ანგარიშგება 6

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. შპს „თეგეტა რენტალს“ 7
2. ინფორმაცია ბუღალტრული აღრიცხვის არსებითი პოლიტიკების შესახებ 7
3. ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკებში და განმარტებით შენიშვნებში 18
4. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა 18
5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები 18
6. ძირითადი საშუალებები 19
7. აქტივის გამოყენების უფლება 20
8. სავაჭრო დებიტორული დავალიანებები 21
9. ფული და ბანკში არსებული ნაშთები 21
10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 21
11. შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან 21
12. გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება 22
13. კაპიტალი 22
14. პირობითი ვალდებულებები 22
15. ნაშთები და გარიგებები მეკავშირე მხარეებთან 24

შპს „თეგეტა რენტალს“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
(თანხები მოცემულია ათასობით ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	8,729	5,722
აქტივის გამოყენების უფლება	7	4,330	4,826
სულ გრძელვადიანი აქტივები		13,059	10,548
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური მარაგები		96	177
სავაჭრო დებიტორული დავალიანებები	8	912	1,273
მომწოდებლებისთვის გადახდილი ავანსები		54	101
ფული და ბანკში არსებული ნაშთები	9	254	316
სულ მიმდინარე აქტივები		1,316	1,867
სულ აქტივები		14,375	12,415
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		15	15
გაუნაწილებელი მოგება		5,411	(1,707)
სულ კაპიტალი		5,426	(1,692)
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები		3,758	-
საიჯარო ვალდებულებები	7	2,120	3,251
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		5,878	3,251
მიმდინარე ვალდებულებები			
მიღებული სესხები		891	86
საიჯარო ვალდებულებები	7	1,259	1,290
სავაჭრო და სხვა კრედიტორული ვალდებულებები	10	625	3,677
ფინანსური თავდებობის ხელშეკრულებები		101	5,704
საგადასახადო ვალდებულებები, მოგების გადასახადის გარდა		104	40
სახელშეკრულებო ვალდებულებები		91	59
სულ მიმდინარე ვალდებულებები		3,071	10,856
სულ ვალდებულებები		8,949	14,107
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		14,375	12,415

გამოსაცემად დამტკიცებულია და ხელმოწერილია 2025 წლის 29 სექტემბერს

ზურაბ ალავიძე
დირექტორი

ТЕГЕТА РЕНТАЛС
TEGETA RENTALS
12 km, D.Agmashenebeli Alley,
0131 Tbilisi Georgia ID: 454412305
+99532 244 60 60 www.tegetarentals.ge

შპს „თეგეტა რენტალს“

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

(თანხები მოცემულია ათასობით ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	11	8,944	9,217
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	12	(6,089)	(6,890)
საერთო მოგება		2,855	2,327
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები		(1,717)	(899)
რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯები		(210)	(200)
სხვა საოპერაციო შემოსავალი	13	1,383	1,339
საოპერაციო საქმიანობაზე გაწეული სხვა ხარჯები		(71)	(165)
მოგება საოპერაციო საქმიანობიდან		2,240	2,402
ფინანსური შემოსავალი		36	460
ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები		(771)	(630)
მოგება დაბეგვრამდე		1,505	2,232
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის მოგება		1,505	2,232
სხვა სრული შემოსავალი		-	-
მთლიანი სრული შემოსავალი		1,505	2,232

 თეგეტა რენტალს
TEGETA RENTALS
12 km, D.Agmashenebeli Alley,
0131 Tbilisi Georgia ID: 454412305
+99532 244 60 60 www.tegetarentals.ge

შპს „თეგეტა რენტალს“
საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება
(თანხები მოცემულია ათასობით ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2023 წლის 1 იანვარს	**15**	**1,143**	**1,158**
წლის მოგება	-	2,232	**2,232**
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	**2,232**	**2,232**
მშობელ კომპანიასა და მის შვილობილ კომპანიებზე გაცემული ფინანსური თავდებობები	-	(5,082)	**(5,082)**
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	**15**	**(1,707)**	**(1,692)**
წლის მოგება	-	1,505	**1,505**
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	**1,505**	**1,505**
მშობელ კომპანიასა და მის შვილობილ კომპანიებზე გაცემული ფინანსური თავდებობები	-	(24)	**(24)**
მიდგომის ცვლილების ეფექტი ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებით	-	5,637	**5,637**
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	**15**	**5,411**	**5,426**

თეგეტა რენტალს
TEGETA RENTALS
12 km, D.Agmashenebeli Alley,
0131 Tbilisi Georgia ID: 454412305
+99532 244 60 60 www.tegetarentals.ge

შპს „თეგეტა რენტალს“
ფულადი ნაკადების ანგარიშგება
(თანხები მოცემულია ათასობით ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება დაბეგვრამდე		1,505	2,232
კორექტირებები:			
ძირითადი საშუალებების და აქტივის გამოყენების უფლების ცვეთა	7	1,651	1,420
არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია		-	2
ფინანსური თავდებობის გადაფასებით მიღებული შემოსულობა	14	10	(433)
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხი/(აღდგენა)	8	59	-
ძირითადი საშუალების გასვლიდან მიღებული ხარჯი/(შემოსულობა)		(20)	(20)
საპროცენტო ხარჯი		768	885
ფინანსური იჯარის შეწყვეტიდან მიღებული ფინანსური ზარალი		-	335
საკურსო სხვაობიდან მიღებული წმინდა ხარჯი/(შემოსულობა)		(23)	177
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავი კაპიტალის ცვლილებებამდე		3.950	4,598
ცვლილებები სავაჭრო დებიტორულ დავალიანებებში		295	269
ცვლილებები საგადასახადო აქტივებში/ვალდებულებებში, მოგების გადასახადის გარდა			111
ცვლილებები გადახდილ ავანსებში		47	76
ცვლილებები სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში		81	(93)
ცვლილებები სავაჭრო და სხვა კრედიტორულ ვალდებულებებში		(2.937)	(930)
სახელშეკრულებო ვალდებულებების ცვლილება		32	(179)
ცვლილებები საგადასახადო ვალდებულებებში		64	(64)
ცვლილებები საბრუნავ კაპიტალში		(2,418)	(921)
გადახდილი მოგების გადასახადი		-	-
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		1.532	3,677
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(4,036)	(920)
ძირითადი საშუალებების რეალიზაცია		119	393
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(3.917)	(527)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან			
საიჯარო ვალდებულებების ძირის დაფარვა	7	(1,500)	(1,998)
საიჯარო ვალდებულებებზე დარიცხული პროცენტის დაფარვა	7	(420)	(867)
სესხის აღება		5,062	-
ნასესხები სახსრების დაფარვა		(557)	(107)
გადახდილი პროცენტი		(341)	(19)
ფინანსური საქმიანობიდან/(ში) მიღებული/(გამოყენებული) წმინდა ფულადი სახსრები		2.244	(2,991)
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე		79	-
ფულისა და ფულის ეკვივალენტების წმინდა (შემცირება)/ზრდა		(62)	43
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	9	316	157
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	9	254	316

თეგეტა რენტალს
TEGETA RENTALS
12 km, D.Agmashenebeli Alley,
0131 Tbilisi Georgia ID: 454412305
+99532 244 60 60 www.tegetarentals.ge

1. შპს „თეგეტა რენტალს“

შპს "თეგეტა რენთალს", საიდენტიფიკაციო ნომრით 454412305, წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის ქვეშ მოქმედ კომპანიას, რომელიც სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოში დარეგისტრირდა 20/08/2018 წელს. ორგანიზაციის იურიდიული მისამართია - საქართველო, ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, დავით აღმაშენებლის ხეივანი 129.

კომპანიის 100%-ის მფლობელია შპს „თეგეტა ინთერნეიშენალ“ („მშობელი კომპანია“), ხოლო საბოლოო მაკონტროლებელი მხარეა საქართველს მოქალაქე თემურ კოხოძე.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა სამშენებლო ტექნიკის იჯარა და ლიზინგი.

2. ინფორმაცია ბუღალტრული აღრიცხვის არსებითი პოლიტიკების შესახებ

(ა) მომზადების საფუძველი

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ისტორიული ღირებულებით აღრიცხვის წესით, გარდა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით ფასდება თავდაპირველი აღიარებისას. ფინანსურ ანგარიშგებებში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში და დამრგვალებულია ათასამდე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

მენეჯმენტმა განიხილა კომპანიის მიერ ფუნქციონირებად საწარმოდ მუშაობის გაგრძელების უნარი. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას საფუძვლად ფუნქციონირებადი საწარმოს გამოყენებისას მენეჯმენტმა მხედველობაში მიიღო კომპანიის საქმიანობა, სტრატეგია, მიზნების მიღწევის პროცესში არსებული უმთავრესი რისკები და განუსაზღვრელობები და კომპანიის მაჩვენებლები. მენეჯმენტმა ჩაატარა კომპანიის ფინანსური პროგნოზების შეფასება და დააკვირდა ძირითად ასპექტებს, როგორებიცაა ფინანსური გეგმისა და სტრატეგიის განხორციელება, მომგებიანობა, კაპიტალი და გადახდისუნარიანობა, აგრეთვე ლიკვიდობა. აღნიშნულის საფუძველზე, მენეჯმენტი ადასტურებს, რომ მათი გონივრული მოლოდინით, კომპანიას აქვს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების დმატკიცების თარიღიდან 12 თვის განმავლობაში საოპერაციო არსებობის გაგრძელებისათვის საკმარისი რესურსები. მენეჯმენტისთვის უცნობია რაიმე არსებითი სახის განუსაზღვრელობების შესახებ, რომლებიც ისეთ მოვლენებსა თუ გარემოებებს უკავშირდება, რაც სერიოზულ ეჭვს აჩენს კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოდ მუშაობის გაგრძელებასთან დაკავშირებით. ამდენად, მენეჯმენტმა გადაწყვიტა, ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კვლავაც იხელმძღვანელო აღრიცხვის ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლით.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულად იქნა გამოყენებული ყველა წარმოდგენილი პერიოდისთვის, გარდა ახალი და შეცვლილი სტანდარტების გამოყენებისა, რომლებიც მე-4 შენიშვნაშია განხილული.

2. **ინფორმაცია ბუღალტრული აღრიცხვის არსებითი პოლიტიკების შესახებ (გაგრძელება)**

(ბ) **შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან**

შემოსავალი საქონლის გაყიდვიდან და გაწეული მომსახურებებიდან

შემოსავალი საქონლის გაყიდვიდან აღიარდება იმ მომენტში, როდესაც საქონელზე კონტროლი გადადის კლიენტზე, ე.ი. როდესაც საქონელი გადაეცემა კლიენტს. ჩვეულებრივი საკრედიტო ვადაა საქონლის გადაცემის მომენტიდან 30-დან 90 დღემდე. შემოსავლის აღიარება მოხდება იმ ანაზღაურების ოდენობით, რომელსაც კომპანია მოელის ამგვარი საქონლის სანაცვლოდ. კომპანია განსაზღვრავს, ამგვარ ოპერაციებში ის პრინციპალის სახით გამოდის თუ აგენტის, კლიენტისთვის მისი დაპირების ხასიათიდან გამომდინარე. კომპანიამ დაასკვნა, რომ ის არის პრინციპალი და შემოსავალს ბრუტო სახით აღრიცხავს, თუ ის აკონტროლებს დაპირებულ საქონელს, სანამ მათ კლიენტს გადასცემს. კომპანიამ ზოგადად დაასკვნა, რომ ის პრინციპალია შემოსავლების მომტან გარიგებებში, გარდა სააგენტო მომსახურებებისა, რადგან ის ჩვეულებრივ აკონტროლებს საქონელს, მისი კლიენტზე გადაცემამდე.

შემოსავალი გაწეული მომსახურებებიდან აღიარდება დროის განმავლობაში, მომსახურების სრულად დაკმაყოფილების მიმართ პროგრესის შესაფასებლად ამოსავალი მონაცემების მეთოდის გამოყენებით, რადგან მომხმარებელი ერთდროულად იღებს და მოიხმარს კომპანიის მიერ მისთვის შეთავაზებულ სარგებელს.

კომპანია განიხილავს, არის თუ არა ხელშეკრულებაში ისეთი დაპირებები, რომლებიც წარმოადგენს ცალკე სახელშეკრულებო ვალდებულებას, რომელზეც უნდა გადანაწილდეს გარიგების ფასის ნაწილი (მაგ. გარანტიები, ა.შ.). საქონლის გაყიდვის და მომსახურების გაწევის ოპერაციის ფასის განსაზღვრისას, კომპანია განიხილავს ცვლადი საზღაურების ეფექტებს, თუ ასეთი არსებობს.

სახელშეკრულებო ნაშთები

სავაჭრო დებიტორული დავალიანებები

დებიტორული დავალიანება წარმოადგენს კომპანიის უფლებას ანაზღაურების თანხაზე, რომელიც არ არის პირობითი (ანუ მხოლოდ დროის გასვლაა აუცილებელი ანაზღაურების გადახდის თარიღის დადგომამდე).

სახელშეკრულებო ვალდებულებები

სახელშეკრულებო ვალდებულება არის კლიენტისათვის ისეთი საქონლის გადაცემა ან მომსახურების გაწევა, რომლისთვისაც კომპანიას მიღებული აქვს ანაზღაურება (ან მისაღები აქვს ამგვარი ანაზღაურება). თუ კლიენტმა გადაიხადა ანაზღაურება საქონლის ან მომსახურების მიწოდებამდე, სახელშეკრულებო ვალდებულება აღიარდება გადახდისას ან გადახდის ვადის დადგომისას (მათგან უადრეს თარიღში). სახელშეკრულებო ვალდებულებების აღიარება ხდება შემოსავლად მაშინ, როდესაც კომპანია შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებას.

(დ) **ფინანსური შემოსავლები და ფინანსური ხარჯები**

კომპანიის ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი მოიცავს:

- საპროცენტო შემოსავალი;
- შემოსავალი ფინანსური გარანტიების ხელახალი შეფასებიდან;
- საკურსო ცვლილებით გამოწვეული მოგება ფინანსურ აქტივებსა და ფინანსურ ვალდებულებებზე;

კომპანიის ფინანსური ხარჯები მოიცავს:

- საპროცენტო ხარჯი მიღებულ სესხებზე;
- საპროცენტო ხარჯები საიჯარო ვალდებულებებზე;
- საკურსო ცვლილებით გამოწვეული ზარალი ფინანსურ აქტივებსა და ფინანსურ ვალდებულებებზე;
- სხვა ფინანსური ხარჯები.

2. ინფორმაცია ბუღალტრული აღრიცხვის არსებითი პოლიტიკების შესახებ (გაგრძელება)

(დ) ფინანსური შემოსავლები და ფინანსური ხარჯები (გაგრძელება)

საპროცენტო შემოსავალი ან ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

საკურსო სხვაობით წარმოშობილი შემოსულობები და ზარალი წმინდა საფუძველზე აღირიცხება იმის მიხედვით, უცხოური ვალუტის მოძრაობა წმინდა შემოსულობის პოზიციაშია, თუ წმინდა ზარალის.

აღებული სესხები, რომლებიც პირდაპირ არ უკავშირდება კვალიფიციური აქტივის შეძენას, მშენებლობას და წარმოებას, აღიარდება მოგება-ზარალში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

(ე) უცხოური ვალუტა

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რომელიც აგრეთვე არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა.

გარიგებები და ნაშთები უცხოურ ვალუტაში

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები თავიდან კომპანიის კომპანიების მიერ აღირიცხება მათ შესაბამის სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება ოპერაციის აღიარების დღეს არსებული სპოტ გაცვლითი კურსით.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ხდება ანგარიშგების დღეს არსებული სამუშაო ვალუტის სპოტ გაცვლითი კურსით.

არაფულადი მუხლები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, კონვერტირდება იმ დღის გაცვლითი კურსით, როცა მოხდა სამართლიანი ღირებულების დადგენა. არაფულადი მუხლების კონვერტაციის შედეგად მიღებული შემოსულობა თუ ზარალი აღირიცხება მუხლის სამართლიან ღირებულებაში მომხდარი ცვლილებით განპირობებული შემოსულობის და ზარალის აღიარების შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი მუხლები, რომლებიც ისტორიული ღირებულების საფუძველზე ფასდება, კონვერტირდება ოპერაციის დღეს მოქმედი გაცვლითი კურსის გამოყენებით.

შესაბამისი აქტივების, ხარჯების ან შემოსავლის (ან მისი ნაწილის) თავდაპირველ აღიარებაზე სპოტ სავალუტო კურსის განსასაზღვრად, ისეთი არაფულადი აქტივების ან არაფულადი აქტივებისა და არაფულადი ვალდებულებების აღიარების შეწყვეტისას, რომლებიც წინასწარ გადახდებს უკავშირდება, გარიგების თარიღი არის ის თარიღი, როდესაც კომპანია თავდაპირველად აღიარებს საავანსო გადახდიდან წარმოშობილ არაფულად აქტივებს ან არაფულად ვალდებულებებს. თანხის არაერთი წინასწარი გადახდის ან მიღების შემთხვევაში, კომპანია თანხის თითოეული ავანსის გადახდისთვის ან მიღებისთვის ცალკე განსაზღვრავს ოპერაციის თარიღს.

(ვ) გადასახადები

მიმდინარე მოგების გადასახადი

საქართველოში საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება. განაწილებული მოგების გადასახადით დაიბეგრება იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, და ის დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდიდან წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება ვალდებულების და ხარჯის სახით იმ პერიოდში, როდესაც ხდება დივიდენდების გამოცხადება, მიუხედავად გადახდის ფაქტობრივი თარიღისა ან იმ პერიოდისა, როდესაც დივიდენდები გადაიხდება. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო კრედიტორული ვალდებულებებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშვებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. კომპანიის პარტნიორებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

2. ინფორმაცია ბუღალტრული აღრიცხვის არსებითი პოლიტიკების შესახებ (გაგრძელება)

(ვ) გადასახადები (გაგრძელება)

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული გარიგებების დაბეგვრას, რომლებიც ითვლება პირობითი მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და მოგება-ზარალის ანგარიშგების საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების ნაწილში აისახება, როგორც „გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა“.

დამატებული ღირებულების გადასახადი („დღგ“)

შემოსავალი, ხარჯები და აქტივები აღირიცხება გაყიდვაზე გადასახადის გამოკლებით, გარდა შემდეგი შემთხვევებისა:

- როდესაც შეუძლებელია აქტივების ან მომსახურების შესყიდვით წარმოშობილი გაყიდვაზე გადასახადის დაბრუნება საგადასახადო ორგანოებიდან, ამ შემთხვევაში ხდება გაყიდვაზე გადასახადის აღიარება აქტივის შესყიდვის ხარჯის ნაწილად ან ხარჯების მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე;
- როდესაც დებიტორული დავალიანებებისა და კრედიტორული ვალდებულებების აღრიცხული ოდენობა შეიცავს გაყიდვაზე გადასახადს.

საგადასახადო ორგანოებისთვის გადასახდელი ან მათგან დასაბრუნებელი გაყიდვაზე გადასახადის წმინდა ოდენობა აისახება როგორც საგადასახადო დავალიანება, მოგების გადასახადის გარდა ან ავანსად გადახდილი გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა, რომლებიც წმინდა სახით აღირიცხება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

საგადასახადო აქტივების და ვალდებულებების ნეტო საფუძველზე წარმოდგენა

2016 წლის 1 იანვრიდან საქართველოს კანონმდებლობაში შევიდა ცვლილებები გადასახადის გადახდის წესებთან დაკავშირებით. ახალი წესების მიხედვით, საქართველოს შემოსავლების სამსახური გააკონტროლებს გადასახადის გადამხდელის წმინდა დავალიანებას სახელმწიფოს მიმართ გადასახადის გადამხდელის ანგარიშების დანერგვით. ამიტომ კომპანია თითოეული სამეურნეო სუბიექტის ყველა საგადასახადო კრედიტორულ ვალდებულებებთან ან დებიტორულ დავალიანებებთან დაკავშირებულ აქტივებს და ვალდებულებებს წარმოადგენს ნეტო საფუძველზე.

(ზ) აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარე და გრძელვადიანად

კომპანია აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მიმდინარე და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მიმდინარეა, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- მისი ფლობის ძირითადი მიზანია მისი გაყიდვა;
- მოსალოდნელია მისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში, ან
- აქტივი არის ფული ან ფულის ეკვივალენტი, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად ანგარიშგების პერიოდის შემდეგ მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში.

ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მიმდინარეა, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- მისი ფლობის ძირითადი მიზანია მისი გაყიდვა;
- ის დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას კომპანია გრძელვადიანის კატეგორიას მიაკუთვნებს.

2. ინფორმაცია ბუღალტრული აღრიცხვის არსებითი პოლიტიკების შესახებ (გაგრძელება)

(თ) სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის სავარაუდო სარეალიზაციო ფასი ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში, რომელსაც აკლდება გაყიდვის სავარაუდო ხარჯები. სათადარიგო ნაწილების და სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგების თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით და მოიცავს სასაქონლო-მატერიალური მარაგების შეძენაზე გაწეულ ხარჯებსა და ამჟამინდელ ადგილმდებარეობამდე და მდგომარეობამდე მათ მისაყვანად გაწეულ ხარჯებს. ავტომობილების თვითღირებულება განისაზღვრება კონკრეტულად იდენტიფიცირებით.

(ი) ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც ერთი საწარმოსთვის წარმოშობს ფინანსურ აქტივს, ხოლო მეორესთვის - ფინანსურ ვალდებულებას ან კაპიტალის ინსტრუმენტს.

(i) ფინანსური აქტივები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური აქტივების კლასიფიცირდება როგორც შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში სამართლიანი ღირებულებით შეფასებული და მოგება-ზარალში სამართლიანი ღირებულებით შეფასებული. კომპანია თავისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას განსაზღვრავს მათი თავდაპირველი აღიარებისას.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია თავდაპირველი აღიარებისას დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე და კომპანიის ბიზნესმოდელზე, რომლითაც მათ მართავს. სავაჭრო დებიტორული დავალიანების გარდა, რომელიც არ მოიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც კომპანია პრაქტიკულ გამოცდილებას იყენებს, კომპანია ფინანსურ აქტივებს თავდაპირველად აფასებს მისი სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება გარიგების ხარჯები იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური აქტივი არ არის სამართლიანი ღირებულებით შეფასებული მოგება-ზარალში ასახვით. სავაჭრო დებიტორული დავალიანებები, რომლებიც არ მოიცავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, ან რომლისთვისაც კომპანიამ პრაქტიკულ საშუალებას მიმართა, ფასდება ფასს (IFRS) 15-ით „შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“ განსაზღვრული გარიგების ფასით.

იმისათვის, რომ მოხდეს ფინანსური აქტივის კლასიფიცირება და მოხდეს მისი შეფასება ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, იგი უნდა წარმოქმნიდეს ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს „მხოლოდ ძირი თანხისა და პროცენტის გადახდებს“ (SPPI) დაუფარავ ძირითად თანხაზე. ამ შეფასებას ეწოდება SPPI-ტესტირება, რომელიც ინსტრუმენტის დონეზე სრულდება.

კომპანიის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნესმოდელი ეხება იმას, თუ როგორ მართავს თავის ფინანსურ აქტივებს ფულადი ნაკადების მისაღებად. ბიზნესმოდელი განსაზღვრავს, მიიღება თუ არა ფულადი ნაკადები სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების, ფინანსური აქტივების გაყიდვის ან ორივეს შედეგად.

ფინანსური აქტივების ყოველგვარი ყიდვა-გაყიდვა ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში აღიარებულია გარიგების თარიღით, ანუ იმ თარიღით, როდესაც კომპანიამ აქტივის შესყიდვის ან გაყიდვის ვალდებულება იკისრა. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ყიდვა-გაყიდვა ნიშნავს ფინანსური აქტივების ისეთ ყიდვა-გაყიდვას, რაც მოითხოვს აქტივების გადაცემას კანონმდებლობით ან საბაზრო პრაქტიკით განსაზღვრულ ვადაში.

2. ინფორმაცია ბუღალტრული აღრიცხვის არსებითი პოლიტიკების შესახებ (გაგრძელება)

(ი) ფინანსური ინსტრუმენტები(გაგრძელება)

შემდგომი შეფასება

შემდგომი შეფასების მიზნებისთვის ფინანსური აქტივები ოთხ კატეგორიად იყოფა:

- ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები (სასესხო ინსტრუმენტები);
- სხვა სრულ შემოსავალში ასახვით სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები კუმულაციური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციით (სასესხო ინსტრუმენტები);
- სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, აღიარების შეწყვეტისას, კუმულაციური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციის გარეშე (კაპიტალის ინსტრუმენტები);
- მოგებასა და ზარალში ასახული და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები (სასესხო ინსტრუმენტები)

ეს კატეგორია კომპანიისთვის ყველაზე აქტუალურია. კომპანია ფინანსურ აქტივებს ამორტიზებული ღირებულებით აფასებს, თუ დაკმაყოფილებულია ქვემოთ მოცემული ორივე პირობა:

- ფინანსური აქტივი ამ ბიზნესმოდელის მიხედვით მფლობელობაშია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების მიზნით; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტული თარიღებით წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს დაუფარავ ძირითად თანხაზე.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები შემდეგ ფასდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და ექვემდებარება გაუფასურებას. შემოსულობისა და ზარალის აღიარება ხდება მოგება-ზარალში მაშინ, როდესაც წყდება აქტივის აღიარება, ან ხდება აქტივის მოდიფიცირება ან გაუფასურება.

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები მოიცავს სავაჭრო დებიტორულ დავალიანებებსა და გაცემულ სესხებს.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფინანსური აქტივების გაუფასურებასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია წარმოდგენილია შემდეგ შენიშვნებში:

- მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები - მე-5 შენიშვნა;
- სავაჭრო დებიტორული დავალიანებები - მე-8 შენიშვნა.

კომპანია აღიარებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვებს ყველა სასესხო ინსტრუმენტისთვის, რომლებსაც არ აღრიცხავს სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით. კომპანია იყენებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლის გამარტივებულ მეთოდს. შესაბამისად, კომპანია ნაცვლად საკრედიტო რისკების ცვლილებების აღრიცხვისა, აღიარებს ზარალის რეზერვს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ვადაზე თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის.

კომპანიამ შეადგინა ანარიცხების მატრიცა, რომელიც ეყრდნობა საკრედიტო ზარალის წარსულ გამოცდილებას და დაკორექტირებულია დებიტორებისა და ეკონომიკური გარემოსთვის დამახასიათებელი პერსპექტიული ფაქტორების შესაბამისად.

კომპანია ფინანსურ აქტივს ვადაგადაცილებულად მიიჩნევს, როდესაც სახელშეკრულებო გადახდები ვადაგადაცილებულია 180 დღით. თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, კომპანიამ შეიძლება ფინანსური აქტივი ვადაგადაცილებულად მაშინაც მიიჩნიოს, როდესაც შიდა ან გარე ინფორმაცია მიანიშნებს იმაზე, რომ სავარაუდოდ კომპანია სრულად ვერ მიიღებს დაუფარავ სახელშეკრულებო თანხებს, კომპანიის მფლობელობაში არსებული საკრედიტო რისკის შემცირების საშუალებების გათვალისწინების გარეშე. ფინანსური აქტივი ჩამოიწერება მაშინ,

2. ინფორმაცია ბუღალტრული აღრიცხვის არსებითი პოლიტიკების შესახებ (გაგრძელება)

(ი) ფინანსური ინსტრუმენტები(გაგრძელება)

როდესაც არ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღება მოხდება. ჩამოწერილი თანხების შემდგომი ამოღება მოგება-ზარალში ამცირებს ფინანსური აქტივების გაუფასურების ხარჯს.

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების კომპანიის ნაწილის) აღიარების შეწყვეტა (ანუ კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან ამოღება) ძირითადად ხდება შემდეგ შემთხვევებში:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან
- კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; ან
- (ა) კომპანიამ გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

თუ კომპანიამ გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან გააფორმა ამაზე ხელშეკრულება, იგი აფასებს, შეინარჩუნა თუ არა ან რამდენად შეინარჩუნა ამ აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული რისკები და სარგებელი. თუ კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, და ასევე არ გადასცა აქტივზე კონტროლი, კომპანია აგრძელებს გადმოცემული აქტივის აღიარებას ამ აქტივში მისი მონაწილეობის შენარჩუნების გამო. ასეთ შემთხვევაში კომპანია მასთან დაკავშირებულ ვალდებულებასაც აღიარებს. გადმოცემული აქტივი და მასთან დაკავშირებული ვალდებულება ფასდება კომპანიის მიერ შენარჩუნებული უფლება-მოვალეობების საფუძველზე.

მონაწილეობის შენარჩუნება, რომელსაც აქვს გადმოცემულ აქტივზე ერთგვარი თავდებობის ფორმა, აისახება აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებასა და კომპანიის მიერ გადასახდელ მაქსიმალურ თანხას შორის უმცირესით.

(ii) ფინანსური ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება

თავდაპირველი შეფასებისას ფინანსური ვალდებულებები ნაწილდება შემდეგ კატეგორიებში: სამართლიანი ღირებულებით შეფასებული და მოგებასა და ზარალში ასახული ფინანსური ვალდებულებები, კრედიტები და აღებული სესხები, კრედიტორული ან დერივაციული ვალდებულებები, რომლებიც განისაზღვრება ჰეჯირების ინსტრუმენტებად ეფექტური ჰეჯირების განხორციელების დროს.

ყველა ფინანსური ვალდებულების აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით და, აღებული სესხების და კრედიტორული ვალდებულებების შემთხვევაში, აკლდება მათთან უშუალოდ დაკავშირებული გარიგების დანახარჯები.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებას, აღებულ სესხებს, ფინანსური თავდებობის ხელშეკრულებებსა და საიჯარო ვალდებულებებს (2023: სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება, აღებული სესხები, საიჯარო ვალდებულება და ფინანსური თავდებობის ხელშეკრულებები).

შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებების შეფასება დამოკიდებულია მათ კლასიფიკაციაზე, როგორც ეს განხილულია ქვემოთ:

კრედიტები და აღებული სესხები

თავდაპირველი აღიარების შემდეგ აღებული სესხების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური

2. ინფორმაცია ბუღალტრული აღრიცხვის არსებითი პოლიტიკების შესახებ (გაგრძელება)

(ი) ფინანსური ინსტრუმენტები(გაგრძელება)

საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. შემოსულობის და ზარალის აღიარება ხდება მოგება-ზარალში ვალდებულების აღიარების შეწყვეტის შემთხვევაში, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ამორტიზებული ღირებულება გამოიანგარიშდება შესყიდვის ნებისმიერი დისკონტის ან პრემიის, აგრეთვე იმ საზღაურის თუ ხარჯების გათვალისწინებით, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის განუყოფელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დარიცხული ამორტიზაცია აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ფინანსური ხარჯების სახით. ეს კატეგორია ზოგადად ეხება აღებულ სესხებს.

ფინანსური თავდებობის ხელშეკრულებები

კომპანიის მიერ გაცემული ფინანსური თავდებობის ხელშეკრულებები არის ისეთი ხელშეკრულებები, რომელთა მიხედვითაც უნდა განხორციელდეს გადახდა, რათა თავდებობის მფლობელს აუნაზღაურდეს ზარალი, რომელსაც ის განიცდის იმის გამო, რომ კონკრეტული დებიტორი ვერ ფარავს დავალიანებას სავალო ინსტრუმენტის პირობების შესაბამისად. ისეთი ფინანსური თავდებობის ხელშეკრულებები, რომლებიც შესაბამისი სასესხო ხელშეკრულებების შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს, თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ვალდებულების სახით, რაც მერე კორექტირდება თავდებობის გაცემისთვის პირდაპირ მიკუთვნებადი გარიგების ხარჯებით. შემდგომში ვალდებულება ფასდება სტანდარტის ფასს 9 მოთხოვნებით შეფასებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ან თავდაპირველად აღიარებული თანხისა და ჯამური ამორტიზაციის სხვაობით, რომელიც უდიდესია (მე-19 შენიშვნა).

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება.

როდესაც არსებული ფინანსური ვალდებულება ჩანაცვლდება სხვა ვალდებულებით იმავე გამსესხებლის წინაშე, რომელსაც მეტწილად განსხვავებული პირობები აქვს ან თუ არსებული ვალდებულების პირობები მეტწილად შეიცვლება, ასეთი ჩანაცვლება ან ცვლილება აღირიცხება, როგორც საწყისი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება, ხოლო განსხვავება შესაბამის საბალანსო ღირებულებებს შორის აისახება შემოსავლის ანგარიშგებაში.

(iii) ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთჩათვლა

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთჩათვლა მოხდება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუ არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთჩათვლის იურიდიული უფლება და ურთიერთჩათვლის ან ერთდროულად აქტივის რეალიზაციის და ვალდებულების დაფარვის სურვილი.

(კ) არაფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია ანგარიშგების თითოეული თარიღისთვის აფასებს, არსებობს თუ არა აქტივის შესაძლო გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში ან როდესაც აქტივის წლიური შემოწმებაა საჭირო მისი გაუფასურების დასადგენად, კომპანია აფასებს აქტივის ანაზღაურებად ღირებულებას. აქტივის აღდგენითი ღირებულება არის აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებასა და აქტივის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. აქტივის აღდგენითი ღირებულება განისაზღვრება ცალკეული აქტივისთვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქტივიდან არ ხდება ისეთი ფულადი სახსრების შემოდინება, რომლებიც მეტწილად დამოუკიდებელია სხვა აქტივებიდან ან აქტივების კომპანიადან მიღებული ფულადი სახსრებისგან. როდესაც აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება გადააჭარბებს მის ანაზღაურებად ღირებულებას, აქტივი ითვლება გაუფასურებულად და ჩამოიწერება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე.

2. ინფორმაცია ზოლალტრული აღრიცხვის არსებითი პოლიტიკების შესახებ (გაგრძელება)

(კ) არაფინანსური აქტივების გაუფასურება (გაგრძელება)

გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დაბეგვრამდელი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს. გაყიდვების ხარჯით შემცირებული სამართლიანი ღირებულების გამოთვლა ხდება ბოლოდროინდელი საბაზრო გარიგებების გათვალისწინებით. თუ ასეთი გარიგებების განსაზღვრა ვერ ხერხდება, გამოიყენება შეფასების სხვა შესაფერისი მეთოდი. ეს გამოთვლები დასაბუთდება შეფასების კოეფიციენტებით, აქციათა კოტირებული ფასებით საფონდო ბირჟაზე რეგისტრირებული კომპანიების შემთხვევაში და სამართლიანი ღირებულების სხვა ხელმისაწვდომი მაჩვენებლებით.

კომპანია გაუფასურებას გამოითვლის დეტალური ბიუჯეტისა და პროგნოზირებული გაანგარიშების საფუძველზე, რომლებიც ინდივიდუალურად მზადდება კომპანიის ფულადი ნაკადების წარმომქმნელი თითოეული ერთეულისთვის, რომლისთვისაც გამოყოფილია ესა თუ ის აქტივი. ასეთი ბიუჯეტები და ფინანსური პროგნოზები ჩვეულებრივ ოთხწლიან პერიოდს მოიცავს. უფრო ხანგრძლივი პერიოდისთვის გამოითვლება გრძელვადიანი ზრდის ტემპი, რომელიც გამოიყენება ფულადი ნაკადების პროგნოზირებისთვის მეხუთე წლიდან მოყოლებული.

უწყვეტი ოპერაციების გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგების, მათ შორის სასაქონლო-მატერიალური მარაგების გაუფასურების აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში, გაუფასურებული აქტივის ფუნქციის შესაბამის ხარჯის კატეგორიებში.

ანგარიშგების ყოველი თარიღით ფასდება, არსებობს თუ არა იმის ნიშანი, რომ მანამდე აღიარებული გაუფასურების ზარალი აღმოფხვრილი ან შემცირებულია. მსგავსი ნიშნის არსებობის შემთხვევაში, კომპანია აფასებს აქტივის ან ფულადი ნაკადების წარმომქმნელი ერთეულის აღდგენით ღირებულებას. გაუფასურების შედეგად განცდილი უკვე აღიარებული ზარალის შებრუნება მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუ გაუფასურებით გამოწვეული ზარალის ბოლო აღიარების შემდეგ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების განმსაზღვრელ დაშვებებში გარკვეული ცვლილებებია მომხდარი. ამობრუნების შედეგად აქტივის საბალანსო ღირებულებამ არ უნდა გადააჭარბოს მის ანაზღაურებად ღირებულებას და ასევე არ უნდა გადააჭარბოს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა ცვეთის გამოკლებით, წინა წლებში აქტივის გაუფასურებით გამოწვეული ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული. ასეთი აღდგენის აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აქტივი აღრიცხულია გადაფასებული ღირებულებით, რა შემთხვევაშიც აღდგენა აღირიცხება, როგორც გადაფასებული ღირებულების ზრდა.

(ლ) სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა

კომპანია ფინანსურ ინსტრუმენტებს აფასებს გაყიდვის ხარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულებით თავდაპირველი აღიარებისას. სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად, ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. სამართლიანი ღირებულებით შეფასება ეყრდნობა იმ ვარაუდს, რომ ადგილი აქვს აქტივის გაყიდვის ან ვალდებულების გადაცემის გარიგებას:

- აქტივის ან ვალდებულების მთავარ ბაზარზე;
- მთავარი ბაზრის არარსებობის შემთხვევაში, აქტივის ან ვალდებულებისთვის ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე.

მთავარი ან ყველაზე ხელსაყრელი ბაზარი კომპანიის ხელმისაწვდომი უნდა იყოს.

აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა ხორციელდება იმ დაშვების საფუძველზე, რომ ბაზრის მონაწილეები აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას იმოქმედებენ საკუთარი ეკონომიკური ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით.

კომპანია ირჩევს შეფასების მეთოდებს, რომლებიც შესაფერისია არსებული გარემოებებისთვის და რომელთა გამოყენებითაც სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად საკმარისი მონაცემები მოიძებნება, რომლებიც მაქსიმალურად იყენებს საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად - არასაბაზრო მონაცემებს.

2. ინფორმაცია ბუღალტრული აღრიცხვის არსებითი პოლიტიკების შესახებ (გაგრძელება)

(ლ) სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა(გაგრძელება)

სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ან ფინანსურ ანგარიშგებებში ასახული ყველა აქტივი და ვალდებულება ნაწილდება ქვემოთ წარმოდგენილი სამართლიანი ღირებულების იერარქიის მიხედვით, რაც ეყრდნობა იმ ყველაზე დაბალი დონის ამოსავალ მონაცემს, რომელიც მნიშვნელოვანია მთლიანად სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად:

- დონე 1 – იდენტური აქტივების ან ვალდებულების კოტირებული (არაკორექტირებული) საბაზრო ფასები აქტიურ ბაზრებზე;
- დონე 2 – ღირებულების განსაზღვრის მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების განსაზღვრისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემის პირდაპირი ან არაპირდაპირი განსაზღვრა;
- დონე 3 – ღირებულების განსაზღვრის მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შეუძლებელია სამართლიანი ღირებულების განსაზღვრისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის განსაზღვრა.

კომპანია განსაზღვრავს ფინანსურ ანგარიშგებაში რეგულარულად აღიარებული აქტივებისა და ვალდებულებების ერთი იერარქიიდან მეორეში გადასვლის ფაქტს კატეგორიზაციის განმეორებითი შეფასებით (მთლიანი სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემის საფუძველზე) ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოსთვის.

სამართლიანი ღირებულების შესახებ განმარტებითი შენიშვნის მიზნებისთვის, კომპანიამ აქტივების და ვალდებულებების კლასი განსაზღვრა აქტივის ან ვალდებულების ხასიათის, მახასიათებლებისა და რისკების ან, ზემოაღნიშნული განმარტების შესაბამისად, სამართლიანი ღირებულების ზემოთ აღწერილი იერარქიის დონის მიხედვით.

(მ) საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალის რაოდენობა განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდებაში ცვლილებები შესაძლებელია მხოლოდ კომპანიის მფლობელების გადაწყვეტილების საფუძველზე. კომპანიის მიერ საწესდებო კაპიტალი აღიარდება იმის გათვალისწინებით, რომ ის კომპანიაში მფლობელებმა შეიტანეს.

(ნ) ფულადი სახსრები და ბანკში არსებული ნაშთები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ფულადი სახსრები და ბანკში არსებული ნაშთები მოიცავს ფულად სახსრებს ბანკში და სალაროში და მოკლევადიან ანაბრებს, რომელთა ვადაც სამი თვე ან უფრო ნაკლებია, რაც ექვემდებარება ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგების მიზნებისთვის, ფულადი სახსრები და ბანკში არსებული ნაშთები შედგება ნაღდი ფულის ნაშთისგან და მოკლევადიანი ანაბრებისგან, ზემოაღნიშნული განმარტების შესაბამისად, რასაც აკლდება საბანკო ოვერდრაფტები, რადგან ისინი ითვლება კომპანიის ფულადი სახსრების მართვის განუყოფელ ნაწილად.

(ო) იჯარა

განსაზღვრება იმისა, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას

ხელშეკრულების გაფორმებისას კომპანია აფასებს ხელშეკრულება წარმოადგენს ან მოიცავს თუ არა იჯარას. ეს იმას ნიშნავს, გადასცემს თუ არა ხელშეკრულება იდენტიფიცირებული აქტივების სარგებლობის კონტროლის უფლებას დროის კონკრეტულ მომენტში, ანაზღაურების სანაცვლოდ.

კომპანია, როგორც მოიჯარე

კომპანია იყენებს ერთი აღიარების და შეფასების მიდგომას ყველა იჯარისთვის, გარდა მოკლევადიანი და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარებისა. კომპანია აღიარებს საიჯარო ვალდებულებებს საიჯარო გადახდებისთვის და გამოყენების უფლებით გადმოცემულ აქტივებს, რომლებიც საბაზისო აქტივების გამოყენების უფლებას წარმოადგენს.

2. ინფორმაცია ბუღალტრული აღრიცხვის არსებითი პოლიტიკების შესახებ (გაგრძელება)

(ო) იჯარა (გაგრძელება)

კომპანია იჯარით იღებს საოფისე ფართებს, საწყობებს და ავტოსადგომებს, შოურუმებს, საოფისე მოწყობილობებს, ავტომობილებს და მიწის ნაკვეთებს. საიჯარო ხელშეკრულებები ჩვეულებრივ ფიქსირებული პერიოდით - 1-დან 10 წლამდე ფორმდება.

(i) აქტივის გამოყენების უფლება

კომპანია აღიარებს აქტივის გამოყენების უფლებას იჯარის დაწყების თარიღში. აქტივის გამოყენების უფლება თავდაპირველად თვითღირებულებით ფასდება, შემდგომ თვითღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი და კორექტირდება საიჯარო ვალდებულებების შეფასების თანხით. გამოყენების უფლებით გადმოცემული აქტივების თვითღირებულება მოიცავს აღიარებული საიჯარო ვალდებულებების, თავდაპირველად გაწეული პირდაპირი ხარჯების და დაწყების თარიღში ან ამ თარიღამდე განხორციელებული საიჯარო გადასახდელების თანხას, ნებისმიერი მიღებული საიჯარო ინიციატივების გამოკლებით. აქტივის გამოყენების უფლებას ცვეთა ერიცხება ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდის გამოყენებით, საიჯარო ვადასა და აქტივების შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, შემდეგი სახით:

- მიწა, შენობა-ნაგებობები და საოფისე აღჭურვილობა - 1-დან 10 წლამდე;
- ავტოსატრანსპორტო საშუალებები 1-დან 5 წლამდე;

თუ საიჯარო აქტივის საკუთრების უფლება გადადის კომპანიაზე საიჯარო პერიოდის ბოლოს ან თვითღირებულება ასახავს შესყიდვის უფლებით სარგებლობას, ცვეთის დაანგარიშება ხდება აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის გამოყენებით. აქტივის გამოყენების უფლება გაუფასურებას ექვემდებარება. იხილეთ სააღრიცხვო პოლიტიკები ნაწილში (კ) - არაფინანსური აქტივების გაუფასურება.

(ii) საიჯარო ვალდებულებები

იჯარის დაწყების თარიღში, კომპანია აღიარებს საიჯარო ვალდებულებებს, რომლებიც იჯარის ვადის განმავლობაში საიჯარო გადასახდელების მიმდინარე ღირებულებით ფასდება. საიჯარო გადასახდელები მოიცავს ფიქსირებულ თანხებს (მათ შორის არსებით ფიქსირებულ გადახდებს), რასაც აკლდება ნებისმიერი საიჯარო შეღავათების დებიტორული დავალიანება, ცვლადი საიჯარო გადახდები, რომლებიც განაკვეთზე ან კოეფიციენტზეა დამოკიდებული და თანხები, რომელთა გადახდაც მოსალოდნელია ნარჩენი ღირებულების გარანტიების საფუძველზე. საიჯარო გადასახდელები ასევე მოიცავს შესყიდვის უფლებით სარგებლობის ღირებულებას, რომელიც გონივრულ ფარგლებში მიიჩნევა კომპანიის მიერ გამოყენებულად და ჯარიმების გადახდებს იჯარის შეწყვეტისთვის, თუ იჯარის ვადა ასახავს ხელშეკრულების შეწყვეტის უფლებას.

საიჯარო გადასახდელების მიმდინარე ღირებულების დაანგარიშებისას, კომპანია იყენებს ზღვრულ სასესხო საპროცენტო განაკვეთს იჯარის დაწყების თარიღში, რადგან იჯარაში ნაგულისხმევი პროცენტი მარტივად ვერ განისაზღვრება. დაწყების თარიღის შემდეგ, საიჯარო ვალდებულებები იზრდება, რომ აისახოს პროცენტის დარიცხვის თანხა და მცირდება განხორციელებული საიჯარო გადასახდელების თანხებით. ამასთან, საიჯარო ვალდებულებების საბალანსო ღირებულება ხელახლა გადაითვლება იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ექნება მოდიფიკაციას, საიჯარო ვადის, საიჯარო გადასახდელების ცვლილებას (მაგ. ცვლილება მომავალ გადახდებში, რომელიც წარმოიშვება ამგვარი საიჯარო გადახდების განსაზღვრისთვის გამოყენებული ინდექსის ან განაკვეთის ცვლილებიდან) ან საბაზისო აქტივის ნასყიდობის შეფასების შესაძლებლობის ცვლილებას.

გამოყენების უფლებით გადმოცემული აქტივებიც და საიჯარო ვალდებულებებიც განცალკევებული ერთეულების სახით არიან წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

(iii) მოკლევადიანი და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარები

კომპანია იყენებს მოკლევადიანი იჯარის აღიარებისგან გათავისუფლებას შენობების, საოფისე ტექნიკის და ავტოსატრანსპორტო საშუალებების მოკლევადიან იჯარებზე (ე.ი. იჯარებზე, რომლებსაც აქვთ დაწყების თარიღიდან 12 ან ნაკლებთვიანი საიჯარო ვადა და არ მოიცავენ შესყიდვის უფლებას). ის ასევე ეხება დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარის აღიარებისგან გათავისუფლებას, საოფისე აღჭურვილობის იჯარებზე, რომლებიც დაბალფასიანად მოიაზრებიან. საიჯარო გადასახდელები მოკლევადიან იჯარებზე და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარებზე აღიარდება ხარჯის სახით საიჯარო ვადის განმავლობაში წრფივი მეთოდით.

3. ცვლილებები საღრიცხვო პოლიტიკებში და განმარტებით შენიშვნებში

ახალი და შეცვლილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები

კომპანიას ვადაზე ადრე არ მიუღია სხვა რომელიმე სტანდარტი, ინტერპრეტაცია თუ ცვლილება, რომლებიც გამოშვებულია, მაგრამ ჯერ ძალაში არ არის შესული.

შემდეგი ახალი ან შესწორებული სტანდარტები და ინტერპრეტაციები ძალაში 2024 წლის 1 იანვარს შევიდა, მაგრამ მათ მნიშვნელოვანი გავლენა არ ჰქონიათ კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებებზე:

- ფასს 16-ის ცვლილება - საიჯარო ვალდებულება უკუიჯარის პირობით გაყიდვისას;
- ცვლილებები ბასს 1-ში: ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარე და გრძელვადიანად; გრძელვადიანი ვალდებულებები კოვენანტებით
- ბასს 7-ისა და ფასს 7-ის შესწორებები: მომწოდებლის ფინანსური შეთანხმებები.

4. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა

ახალი და შეცვლილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ფინანსური ანგარიშგებების გამოშვების თარიღისთვის ჯერ ძალაში არ შესულა, მოცემულია ქვემოთ. კომპანია ამ ახალი და შეცვლილი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღებას აპირებს მათი ძალაში შესვლისთანავე, თუკი ისინი კომპანიას მიესადაგება. მოსალოდნელი არ არის, რომ ამ ცვლილებებს მნიშვნელოვანი გავლენა ექნებათ კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

- ცვლილებები ბასს 21-ში: უცხოური ვალუტის კურსების ცვლილებების შედეგები, სახელწოდებით „გაცვლითი შესაძლებლობების ნაკლებობა“
- ფასს 18: ფინანსური ანგარიშგებების წარდგენა და განმარტებები
- ფასს 19: შვილობილი კომპანიები საჯარო ანგარიშვალდებულების გარეშე: განმარტებები

5. მნიშვნელოვანი საღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგებების მომზადება ხელმძღვანელობის მხრიდან მოითხოვს გარკვეულ გადაწყვეტილებებს, შეფასებებსა და დაშვებებს, რაც გავლენას ახდენს ანგარიშგებაში წარმოდგენილი შემოსავლის, ხარჯების, აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე, მათ გაცხადებაზე და ასევე პირობითი ვალდებულებების გაცხადებაზე. ამ დაშვებებისა და შეფასებების სუბიექტური ხასიათის გამო შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებების შეტანა გახდეს საჭირო მომავალი პერიოდების აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში.

შეფასებები და დაშვებები

მომავალთან დაკავშირებით გაკეთებული ძირითადი დაშვებები და ასევე სხვა განუსაზღვრელობები საანგარიშგებო თარიღისათვის, რომელთა გამოც მომავალ ფინანსურ წელს შეიძლება საჭირო გახდეს მნიშვნელოვანი ცვლილების შეტანა აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში, აღწერილია ქვემოთ. კომპანიამ თავისი დაშვებებისა და შეფასებების საფუძვლად გამოიყენა ის ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომი იყო ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს. თუმცა არსებული გარემოებები და დაშვებები მომავალ მოვლენებთან დაკავშირებით შეიძლება შეიცვალოს ბაზარზე ან გარემოებებში ისეთი ცვლილებების გამო, რომლებიც არ ექვემდებარება კომპანიის კონტროლს. ასეთი ცვლილებები დაშვებებში აისახება მათი დადგომისთანავე.

საიჯარო ვალდებულების დასაანგარიშებლად გამოყენებული ზღვრული სასესხო საპროცენტო განაკვეთის შეფასება

კომპანიას არ შეუძლია იჯარაში შემავალი საპროცენტო განაკვეთის განსაზღვრა, შესაბამისად, საიჯარო ვალდებულებების შესაფასებლად ის ზღვრულ სასესხო საპროცენტო განაკვეთს იყენებს. ზღვრული სასესხო საპროცენტო განაკვეთი წარმოადგენს საპროცენტო განაკვეთს, რომლის გადახდაც კომპანიას მოუწევდა აქტივის გამოყენების უფლების ღირებულების მსგავსი ფასის მქონე აქტივის მისაღებად საჭირო თანხების მსგავსი ვადის და მსგავსი უზრუნველყოფის მქონე სესხის დასაფარად მსგავს ეკონომიკურ გარემოში. კომპანია ზღვრულ სასესხო საპროცენტო განაკვეთს აფასებს ემპირიული შემავალი ინფორმაციის (როგორიც არის საბაზრო საპროცენტო განაკვეთი) გამოყენებით, როდესაც ისინი ხელმისაწვდომია და საჭიროა საწარმოს დამახასიათებელი კონკრეტული შეფასებების გაკეთება.

6. ძირითადი საშუალებები

	მიწა და შენობა-ნაგებობები	მანქანა-დანადგარები	საოფისე ინვენტარი და სატრანსპორტო საშუალებები	სხვა	სულ
თვითღირებულება	39	6,336	128	342	6,845
დაგროვილი ცვეთა	(27)	(1,021)	(92)	(125)	(1,265)
საბალანსო ღირებულება 2023 წლის 1 იანვრისთვის	**12**	**5,315**	**36**	**217**	**5,580**
შესყიდვები	-	908	2	10	920
ცვლილება	-	(188)	(90)	-	(278)
ცვეთის ხარჯი	(8)	(579)	(17)	(35)	(639)
ცვლილება დაგროვილი ცვეთაზე	-	58	81	-	139
საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	**4**	**5,514**	**12**	**192**	**5,722**
თვითღირებულება	39	7,056	40	352	7,487
დაგროვილი ცვეთა	(35)	(1,542)	(28)	(160)	(1,765)
საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	**4**	**5,514**	**12**	**192**	**5,722**
შესყიდვები	-	4,008	5	23	4,036
ცვლილება	-	(266)	(2)	(1)	(269)
ცვეთის ხარჯი	(4)	(884)	(5)	(37)	(930)
ცვლილება დაგროვილი ცვეთაზე	-	170	-	-	170
საბალანსო ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრისთვის	**-**	**8,542**	**10**	**177**	**8,729**
თვითღირებულება	39	10,798	43	374	11,254
დაგროვილი ცვეთა	(39)	(2,256)	(33)	(197)	(2,525)
საბალანსო ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრისთვის	**-**	**8,542**	**10**	**177**	**8,729**

7. აქტივის გამოყენების უფლება

ქვემოთ მოცემულია კომპანიის აქტივის გამოყენების აღიარებული უფლების საბალანსო ღირებულება და მოძრაობები პერიოდის განმავლობაში:

	მიწა და შენობები	საოფისე ინვენტარი და სატრანსპორტო საშუალებები	სულ
თვითღირებულება	5,043	1,811	6,854
დაგროვილი ცვეთა	(2,087)	(123)	(2,210)
საბალანსო ღირებულება 2023 წლის 1 იანვრისთვის	**2,956**	**1,688**	**4,644**
ცვლილება			
ცვეთის ხარჯი	-	963	963
საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	(521)	(260)	(781)
	(521)	**703**	**182**
თვითღირებულება	5,043	2,774	7,817
დაგროვილი ცვეთა	(2,608)	(383)	(2,991)
საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	**2,435**	**2,391**	**4,826**
ზრდა			
ცვეთის ხარჯი	-	225	225
საბალანსო ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრისთვის	(523)	(198)	(721)
	1,912	**2,418**	**4,330**
თვითღირებულება	5,043	2,999	8,042
დაგროვილი ცვეთა	(3,131)	(581)	(3,712)
საბალანსო ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრისთვის	**1,912**	**2,418**	**4,330**

ქვემოთ განსაზღვრულია საიჯარო ვალდებულებების საბალანსო ღირებულება და მოძრაობები პერიოდის განმავლობაში:

	2024	2023
1 იანვრის მდგომარეობით	**4.541**	**5,230**
მიღება	306	963
მოდიფიკაცია	-	335
პროცენტის დარიცხვა	420	867
გადახდა	(1,920)	(2,865)
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული ეფექტი	32	11
31 დეკემბრის მდგომარეობით	**3,379**	**4,541**
მიმდინარე	1,259	1,290
გრძელვადიანი	2,120	3,251

8. სავაჭრო დებიტორული დავალიანებები

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო დებიტორული დავალიანებები	1,145	1,447
გამოკლებული: მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხი	(233)	(174)
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	**912**	**1,273**

9. ფული და ბანკში არსებული ნაშთები

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
მიმდინარე ანგარიშები ბანკებში	254	316
სულ ფული და ბანკში არსებული ნაშთები	**254**	**316**

კომპანია ძირითად ფულად სახსრებს და ბანკში არსებულ ნაშთებს ფლობს საქართველოს კომერციულ ბანკში, რომელსაც „Standard and Poor's“-ის და „Fitch“-ის სარეიტინგო სააგენტოების მიერ მინიჭებული აქვთ BB რეიტინგი.

10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2024 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 1 იანვარი
სავაჭრო ვალდებულებები	543	3,644
მიმდინარე ანგარიშები ბანკებში	82	33
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	**625**	**3,677**

11. შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

	2024	2023
შემოსავალი საქონლის გაყიდვიდან	514	650
შემოსავალი გაწეული მომსახურებებიდან	8,430	8,567
სულ შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	**8,944**	**9,217**

12. გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება

	2024	2023
დროის მომენტში გაყიდული საქონლის თვითღირებულება	(516)	(705)
დროის განმავლობაში გაწეული მომსახურების თვითღირებულება:		
გამოყენებული მასალები	(1,504)	(1,982)
საწვავის ხარჯი	(1,625)	(1,770)
შესყიდული მომსახურებები	(1,384)	(925)
აქტივის გამოყენების უფლების ცვეთა	-	(765)
ცვეთის ხარჯი	(881)	(577)
დაზღვევის ხარჯი	(113)	(106)
სხვა ხარჯები	(66)	(60)
სულ გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	**(6,089)**	**(6,890)**

13. კაპიტალი

გამოცხადებული დივიდენდი

2024 და 2023 წელს კომპანიას არ გამოუცხადებია დივიდენდი.

14. პირობითი ვალდებულებები

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხშირია საკანონმდებლო ცვლილებები, ოფიციალური განცხადებები და სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც ხშირად ბუნდოვანი და ურთიერთსაწინააღმდეგოა და სხვადასხვა საგადასახადო უწყების მიერ განსხვავებულად შეიძლება იქნეს გაგებული. გადასახადები ექვემდებარება გადასინჯვას და მოკვლევას მთელი რიგი სახელმწიფო უწყების მიერ, რომლებსაც აქვთ მკაცრი ჯარიმების და საურავების დაკისრების უფლება. საგადასახადო პერიოდები შემოწმებისათვის ღიაა სამი წლის განმავლობაში. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ მან სათანადოდ გაითვალისწინა საგადასახადო ვალდებულებები საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების საკუთარი ინტერპრეტაციის საფუძველზე. მაგრამ შესაბამისი ორგანოების ინტერპრეტაცია შეიძლება განსხვავდებოდეს „კომპანიის“ ინტერპრეტაციისგან და თუ ისინი შეძლებენ საკუთარი ინტერპრეტაციის განხორციელებას, ამას შესაძლოა მნიშვნელოვანი ზეგავლენა ჰქონდეს ფინანსურ ანგარიშგებებზე.

14. პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

თავდებობები

2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია გაფორმებული აქვს თავდებობის ხელშეკრულებები. გარანტიის ფარგლებში კომპანია მშობელი კომპანიისა და საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოების მიერ კრედიტორების წინაშე არსებული სასესხო ვალდებულებების შესრულების გარანტიას იძლევა. კომპანია არ კისრულობს მესამე პირის თავდებობას.

ქვემოთ წარმოდგენილი დოლარში გაცემული გარანტიები 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ქართულ ლარში შეადგენდა:

		2024 წლის 31 დეკემბერი		2023 წლის 31 დეკემბერი	
	ვალუტა	მაქსიმალური რისკი	ფინანსური თავდებობის ხელშეკრულებების წმინდა საბალანსო ღირებულება	მაქსიმალური რისკი	ფინანსური თავდებობის ხელშეკრულებების წმინდა საბალანსო ღირებულება
მშობელი კომპანია	ლარი	810,924	101	694,294	5,704
სულ		**810,924**	**101**	**694,294**	**5,704**

სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულება

კომპანიას აკისრია კონკრეტული სახელშეკრულებო პირობები, რომლებიც უმეტესად მშობელი და დობილი კომპანიების საბანკო სესხებს უკავშირდება. ამგვარ ვალდებულებებთან შეუსაბამობამ, შესაძლოა, გამოიწვიოს უარყოფითი შედეგები კომპანიისთვის. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია ასრულებდა ყველა სახელშეკრულებო პირობას.

15. ნაშთები და გარიგებები მეკავშირე მხარეებთან

მხარეები, ზოგადად, ითვლება მეკავშირედ, თუ მხარეები ექვემდებარებიან საერთო კონტროლს, ან ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა ან ერთობლივი კონტროლი მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მეკავშირე მხარეებთან ნაშთები იყო შემდეგი:

	მშობელი კომპანია	უმაღლესი ხელმძღვანელობა	სხვა მეკავშირე მხარეები*
სავაჭრო დებიტორული დავალიანებები	204	-	234
საიჯარო ვალდებულება	-	-	(264)
სავაჭრო და სხვა კრედიტორული ვალდებულებები	(264)	-	(68)
მომწოდებლებისთვის გადახდილი ავანსები	-	-	(38)
გადასახდელი ხელფასები	-	(46)	-
მშობელ კომპანიასა და მის შვილობილ კომპანიებზე გაცემული ფინანსური თავდებობები	(101)	-	-

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მეკავშირე მხარეებთან ნაშთები იყო შემდეგი:

	მშობელი კომპანია	უმაღლესი ხელმძღვანელობა	სხვა მეკავშირე მხარეები*
სავაჭრო დებიტორული დავალიანებები	597	-	263
საიჯარო ვალდებულება	-	-	(366)
სავაჭრო და სხვა კრედიტორული ვალდებულებები	(489)	(4)	(2,961)
მომწოდებლებისთვის გადახდილი ავანსები	-	-	(2)
მშობელ კომპანიასა და მის შვილობილ კომპანიებზე გაცემული ფინანსური თავდებობები	(4,747)	-	(957)

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის მეკავშირე მხარეებთან შემდეგი გარიგებები დაფიქსირდა:

	მშობელი კომპანია	უმაღლესი ხელმძღვანელობა	სხვა მეკავშირე მხარეები*
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	77	-	419
შემოსავალი გაწეული მომსახურებიდან	775	-	2.120
კომერციული შესყიდვები	(125)	-	(169)
ძირითადი საშუალებების და მომსახურებების შეძენა	(924)	-	(3.086)
იჯარის ხარჯი	(31)	-	(65)
პროფესიული მომსახურება	(155)	-	(16)
შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯები	-	-	(679)
თანამშრომლებთან დაკავშირებული ხარჯები	(4)	(173)	-
ფინანსური თავდებობის ხელახალი შეფასებით მიღებული შემოსულობა	(10)	-	-
სხვა	664	-	(164)

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის მეკავშირე მხარეებთან შემდეგი გარიგებები დაფიქსირდა:

	მშობელი კომპანია	უმაღლესი ხელმძღვანელობა	სხვა მეკავშირე მხარეები*
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	32	-	730
შემოსავალი გაწეული მომსახურებიდან	1,039	-	1,658
შემოსავალი საქონლის გაყიდვიდან	-	-	(274)
ძირითადი საშუალებების და მომსახურებების შეძენა	-	-	(2,153)
იჯარის ხარჯი	(35)	-	(24)
პროფესიული მომსახურება	(165)	-	(10)
შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯები	-	-	(679)
ხელფასები და პრემიები	(2)	(15)	(8)
პროცენტის ხარჯი	-	-	(1)
ფინანსური თავდებობის ხელახალი შეფასებით მიღებული შემოსულობა	1,106	-	379
სხვა	(298)	-	731

* სხვა მეკავშირე მხარეები ძირითადად მოიცავს კომპანიის მესაკუთრესთან დაკავშირებულ იურიდიულ და/ან ფიზიკურ პირებს, დობილი კომპანიების ჩათვლით.